თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ბრძანება

MES 5 20 00422358

01/06/2020

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 321 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის N24/1 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის“ საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:
ა) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დასკვნითი გამოცდების ჩატარების წესი დანართის 1-ის შესაბამისად;

ბ)გამოცდის დისტანციურად ტესტური ფორმით ჩაბარების ინსტრუქცია დანართი 2-ის შესაბამისად.

2. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს (თ.ჩიქოვანი,ს.მღებრიშვილი, დ.ბერაშვილი, ი.მჭედლიშვილი, ლ.მასხულია, დ. თოფურია) და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს (ე.ეკალაძეს) უზრუნველყონ:

ა) წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის გაცნობა ყველა სასწავლო მიმართულებისა და დეპარტამენტისათვის;

ბ)კლინიკურ სასწავლო დეპარტამენტებთან ერთად, სტუდენტებისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმის თაობაზე არაუგვიანეს 2020 წლის 5 ივნისისა.

3. დაევალოთ თეორიულ სასწავლო დეპარტამენტებს, უზრუნველყონ სტუდენტებისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმის თაობაზე წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

4. დაევალოს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტს დასკვნითი გამოცდების არადისტანციური ფორმით ჩატარებისას უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მითითებების/რეკომენდაციების დაცვა.

5. დაევალოს ცოდნის მართვისა და პროგრამული უზრუნველყოფის ჯგუფს, უზრუნველყოს საგამოცდოდ შერჩეული ელექტრონული აპლიკაციის/პლატფორმის გამართულად გამოყენება.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს ვიცე-რექტორს, პროფესორ ხ. თოდაძეს.

7.ბათილად იქნეს ცნობილი თსსუ-ის რექტორის 2020 წლის 29 მაისის #418582 ბრძანება "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების თაობაზე"

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, ვიცე-რექტორებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, კანცლერის მოადგილეებს, რექტორის აპარატის უფროსს, ყველა ფაკულტეტის დეკანს (თ.ჩიქოვანი,ს.მღებრიშვილი, დ.ბერაშვილი, ი.მჭედლიშვილი, ლ.მასხულია, დ. თოფურია), დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს (ე.ეკალაძეს),ცოდნის მართვისა და პროგრამული უზრუნველყოფის ჯგუფს(დ.გვასალია), ინფრასტრუქტურის დეპარტამენტს (მ.რობაქიძე), ყველა სასწავლო დეპარტამენტს.

10. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში; მის. დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი